

## მრგვალი მაგიდა თემაზე ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა

2008 წლის 4 აპრილს “ ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ ” პროექტის ფარგლებში? გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: “ ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა”,

რომელსაც უძღვებოდა პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, გრ . რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი მალხაზ ბაძაღვა.

პროექტის მონაწილეებს სოციოლოგიური კვლევის შედეგები გააცნო პროექტის ასისტენტმა ცირა ჭანტურიამ . მოხსენებით გამოვიდნენ:

1. თამთა შაგულაშვილი - თბილისის ბავშვთა საკრებულოს წევრი. ქ. თბილისის № 137- ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თემა:“ ტრეფიკინგი - მონობა 21- ე საუკუნეში”;
2. ნატალია მაისურაძე - გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი. თემა:“ ტრეფიკინგის პრობლემა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში”;
3. სოფო ბარნაბიშვილი - გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი. ეკა საათაშვილი - გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი. თემა: “ ტრეფიკინგი \_ ახალგაზრდობის “ გადარჩენის გზა”;
4. ქეთევან ხუციშვილი - ადამიანთა ვაჭრობის ( ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გამართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მდივანი თემა:“ ადამიანთა ვაჭრობის - ტრეფიკინგის დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნა”;
5. მარინა მესხი - ადამიანთა ვაჭრობის ( ტრეფიკინგის) დაზარალებულთა და წამებულთა სოციალური დახმარების ფონდის ხელმძღვანელი. თემა:” ეროვნული რეფერარული მექანიზმი”;
6. გიორგი ღლონტი - გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი. თემა:“ ადამიანთა ვაჭრობის ( ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება”;
7. თამარ მარდალეიშვილი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამის ასისტენტი. თემა: “ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობა ადამიანთა ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ”;
8. ია დადუნაშვილი - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი ოფისი კავკასიაში პროგრამების კოორდინატორი, თემა:“ შრომითი ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობა ტრეფიკინგის სფეროში”;

9. ხათუნა ჭითანავა - საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია “ არა! – ადამიანებით ტრეფიკინგს” პროექტის კოორდინატორი. თემა: “ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ტრეფიკინგთან ბრძოლაში”
10. მიხეილ ბაძალუა გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. თემა: “ ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სახელმწიფო პოლიტიკა”;

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს : გრ . რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა მამუკა თავხელიძემ, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარემ ნანა ნაზაროვამ, გრ . რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტმა სოფო ასანიძემ, გრ . რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე -3 კურსის სტუდენტმა ნინო ენდელაძემ. მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები.